საქართველოს საარჩევნო ადმინისტრაცია

საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის

დადგენილება №10/2019
2019 წლის 20 მარტი

ქ. თბილისი

2019 წლის 19 მაისს გასამართი საქართველოს პარლამენტის შუალედური, მუნიციპალიტეტების მერების რიგგარეშე და საკრებულოების შუალედური არჩევნებისთვის სახელმწიფოს მიერ გამოყოფილი თანხის განაწილებისა და გამოყენების წესის განსაზღვრის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ მე-14 მუხლის პირველი პუნქტის „ნ” ქვეპუნქტისა და 77-ე მუხლის მე-5 პუნქტის საფუძველზე, საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისია **ადგენს:**

მუხლი 1

დამტკიცდეს 2019 წლის 19 მაისს გასამართი საქართველოს პარლამენტის შუალედური, მუნიციპალიტეტების მერების რიგგარეშე და საკრებულოების შუალედური არჩევნებისთვის სახელმწიფოს მიერ გამოყოფილი თანხის განაწილებისა და გამოყენების წესი (ხარჯთაღრიცხვა) დანართის შესაბამისად.

მუხლი 2

ეს დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კილომეტრი, №6) მისი მიღებიდან 2 კალენდარული დღის ვადაში.

მუხლი 3

ეს დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

კომისიის თავმჯდომარე **თამარ ჟვანია**
კომისიის მდივანი **გიორგი ჯავახიშვილი**

დანართი

ხარჯთაღრიცხვა

მუხლი	ხარჯის დასახელება	თანხა (ლარი)
სულ	**საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისია**	**4,466,910.00**
	ხარჯები	4,466,910.00
	შრომის ანაზღაურება	2,664,104.00
	საქონელი და მომსახურება	724,192.00
	სხვა ხარჯები	1,078,614.00
06 04 01	**არჩევნების ჩატარების ღონისძიებები**	**3,504,702.00**
	ხარჯები	3,504,702.00
	შრომის ანაზღაურება	2,551,096.00
	საქონელი და მომსახურება	645,392.00
	სხვა ხარჯები	308,214.00
	არჩევნებისთვის მოხელეთა მომზადება-გადამზადება	**191,808.00**

06 04 02	ხარჯები	191,808.00
	შრომის ანაზღაურება	113,008.00
	საქონელი და მომსახურება	78,800.00
06 04 04	**საარჩევნო სუბიექტების წარმომადგენელთა დაფინანსება**	**770,400.00**
	ხარჯები	770,400.00
	სხვა ხარჯები	770,400.00